


№ 47 — 1916
კვირა, 20 გიორგ.

წელ. მეოთხე გამოცემისა

ფასი 15 კ.



# ნიკოლოზ ბარათაშვილი

**1816** — **1916**

მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან — შვილნი სოფლისა,
უნდა ვსდევდეთ მივდრეკილნი მას, გვესმას მოძღვრება მისა.
ჩვენ კაცი ვარგა, რომ ცხოვრებით მამულსა ემსახუროს,
იყოს სოფელში, რა სოფლისთვის არს იქცეოდეს!

1837.

ნიკოლოზ ბარათაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგობისთვის 20

## უკვდავების მოციქული

ჩვენი დაღლეული ერთობის, აზრ-გაორკეცებულ, გზა-აბნეულ და ბურუსით მოცულ წარსულ საზოგადოებრივ ცხოვრების მობურვილ ძალაში ერთი მოქიაფე ვარსკვლავი მოსჩანს,— სულიერი სახე ბარათაშვილისა,—რომელიც მას დღეს აქეთია ქართლის ძეთა აზროვნობას ჰწინამძღოლობს და ჰმოციქულობს.

ჰწინამძღვრობს და მოციქულობს, რათა თვით აშვენიერმა თავისი მშობელი ერიც სულიერად გაამშვენიეროს მამულთან ერთად მსოფლიოც შეაყვაროს, რადგან ღრმად სწამდა, რომ:

თვით უკვდავება მშვენიერსა
სულში მდგომარებს!

დიახ, მხოლოდ ასეთ სულით განსპეტაკებულს ძალუძს ყოვლითა არსითა თვისითა შეიყვაროს თვისი მამული და მასთან ერთად მთელი მსოფლიოც: იძმოს და მისცეს უმაღლეს მისწრაფებათა, ზეკაცურ ძიებათა შთანასახნი...

ასეთი იყო ჩვენი მოციქული უკვდავებისა — ნიკოლოზ ბარათაშვილი.

ნიკოლოზის დაბადების ხანს—ერთი საუკუნის უწინარეს—კერძოდ საქართველოს და საერთოდ რუსეთისა თუ ევროპას დღევანდელთან შედარებით ნაკლები განსაცდელი არ ედგა: საქართველო ჰგლოვობდა ახლად დაკარგულ დამოუკიდებლობას — საკუთარი კერის დამხობას, ანუ ამ ჭირის გულიდან გადასაყრელად ლოთობანობაში იხრჩობოდა, ხოლო რუსეთსა და ევროპას ჯერ კიდევ არ შეშრობოდა სისხლი, განვლილ ომებით დათხეული...

მშობელი ერისა და მთელი კაცობრიობის ნაღველი ნიკოლოზმა თვით განიცადა, ეზიარა მას და მხოლოდ მან ერთმა გვამცნო, რომ უკეთესი ცხოვრების მოპოვებისთვის საჭიროა სულით გამშვენიერება, მით თვის ძალღონის დაგვრა...

დღეს ამ ჩვენი მოციქულის დაბადების ასის წლის თავზე კიდევ უფრო მეტად გვეჭირვება მისებრ ცეცხლოვით მგზნებარე სიტყვისა და კიდევ უფრო მეტად მომქმედი ადამიანი, ჩვენი ნიკოლოზის სამარადისო ნატვრის ხორცის შესასხმელად,—საქართველოს საკუთარი სახით აღსადგენად...

და ნიკოლოზის აღბორგებული, თანამემამულეთა უმოქმედობით ლტოლვილი, კლდეღრეებში მარბენალი სულიც მხოლოდ მაშინ დამშვიდდება

თუ ნიკოლოზ მოციქული გვეყოლა,—მის მისწრაფებათა განმახორციელებელიც გვეყოლება!.

და საქართველოც უკვდავი მაშინ შეიქმნება, თავის მადიდებელის მარად მოსახსენებლად..

## ნიკოლოზ ბარათაშვილი

მაგონდება ილიას სიტყვები:

„ყრმაო პოეტო, უდროო იყო შენი სიკვდილი!

საზოგადოთ სიკვდილი უღვთოობაა: მით უმეტეს სიკვდილი ყრმისა, და კიდევ უფრო უმეტეს ყრმა ბარათაშვილისა, რომელსაც ბუნებამ მისცა მეტად დიდი ნიჭი, მაგრამ პატარა დღე

მეორეს მხრით ბარათაშვილი სწორეთ ნორჩი უნდა გაცლოდა ამ სოფელს,—ბარათაშვილი-მოხუცი მე ვერ წარმომიდგენია.

პოეზია ბარათაშვილისა მუდამ ნორჩია; განვლენ საუკუნენი, ათასი წლები და მისი პოეზია ისევ ნორჩი, ისევ ახალი იქნება.

არიან პოეტები, რომელთა სახელი დიდია, მეტად დიდი,—მაგრამ წარმავალი. თანამედროვეთათვის დიდი, სულ ხშირათ, შემდეგი თაობისათვის პატარათ გადიქცევა; მომავალი-კი ზოგჯერ სრულებით ივიწყებს მას.

კითხულობთ ბევრჯერ თანამედროვეთაგან ამაღლებულ პოეტს და ვერ გაგიგიათ, რათ აამაღლეს, რათ დაადგეს მას თავზედ გვირგვინი. იმიტომ რომ ის ღრმათ ჩასწვდა თანამედროვეთ გულში ჩვენი გული კი გამოიცვალა და სხვა საგნებს ეტრფის, სხვა ჰანგებს ითხოვს. გენიოსობა არის საჭირო, კიდევ მეტი, რომ დროთა სამზღვრები გადაჰლახო, მარადისობა დაიმორჩილო და მთელი მომავლის კაცობრიობას ჩასწვდე გულში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი იყო ბარათაშვილი

ყოველივე ბრუნავს, ყოველივე მოძრაობს, წინ მიისწრაფის, ამ მისწრაფებაში სახეს იცვლის, ვითარდება. ამ განვითარების გზაზე კაცობრიობამ შესაძლებელია მთელი მსოფლიო დაიმორჩილოს, მაგრამ ბევრი საიდუმლოება მაინც გამოუცნობი, აუხსნელი, დაუმორჩილებელი დარჩება, და კაცობრიობა ისევ ჩავა საფლავში უკანასკნელ ადამიანამდე, რომ ბევრი ასეთი საიდუმლოება მიუწდომელი დაურჩება. ამიტომ სევდა გამოუცნობისა, სევდა მიუწდომელისა ყოველი დროის, ყოველი თაობის, ყველა შეგნებული ერის თანამგზავრი ყოფილა, არის და იქნება უკუნისამდე

ბარათაშვილი ამ საკაცობრიო, მსოფლიო, ამ სამარადისო სევდის მატარებელია, მისი მესაიდუმლე, მისი მეტად ნაზი, მეტად ტკბილი მგოსანია და ამიტომ ის მუდამ ნორჩი, მუდამ ყრმა, მუდამ ახალგაზრდა და საყვარელი იქნება ყველასათვის, ვისაც კი შეუძლია ბარათაშვილის სიტყვებით მიმართოს ცას:

მე შენსა მჭვრეტელს მავიწყდების საწუთროება,
გულის თქმა ჩემი შენს იქითა ეძიებს სადგურს.

სიცოცხლე საშინელი ტრაგედიაა.

სამყაროს დასაბამი და დასასრული არა აქვს; ყოველივე სამარადისოა, ჩვენი სიცოცხლე კი მეტად მოკლე, ერთობ წარმავალი და ფუჭი; ოცნება და წყურვილი უსაზღვროა და ამავე დროს დაუკმაყოფილებელი. ჩვენ ვიტანჯებით, რომ ჩვენი წყურვილი დაუკმაყოფილებელი რჩება, მაგრამ გზა ხსნისა არსად არის, შუქი იმედისა არსად მოჩანსო, გარეშემო წყვდიადია, უდაბნო. ერთხელ დაიბადო და ისე მოჰკვდე, რომ ვერაფერი ვერ გაიგო, ვერაფერი ვერ ახსნა, ცას ფარდა ვერ აჰხადო, — აი საშინელი, მეტად საშინელი ტრაგედია სიცოცხლისა.

ბალმონტს აქვს ერთ ლექსში: ღმერთო, გონება მეუბნება, რომ შენ არ არსებობ, ხოლო გული კი შენ გეძებსო.

ბარათაშვილი ამ მსოფლიო ტრაგედიის ერთი მთავარი გმირია. მას სწყუროდა სიცოცხლის, სამყაროს საიდუმლოებისათვის ფარდა აეხადა, გამოუცნობი გამოეცნო, მიუწდომელს მისწვდომოდა.

ჭკუით ურწმუნო, გულით ღმერთს ეძებდა და, აი, ამ ძიების ერთად ერთი შედეგი: „მას აქეთ არის, დავყუდებულს მშვიდობა სულსა.“

ბარათაშვილის ძიება მთელი კაცობრიობის ძიება, ბარათაშვილის ტანჯვა მთელი კაცობრიობის ტანჯვაა. მიტომაც შოთას შემდეგ ბარათაშვილი ყველაზე უფრო მსოფლიო პოეტი.

თითქმის ყველა ჩვენი დიდი პოეტი სამშობლოს ჭირმა დაიმონავა, მათი ნიჭი სამშობლოს შავბედს შეადნა, მსხვერპლად შეეწირა, ამაშია მათი დიდი ღირსება და ამავე დროს მათი დიდი ნაკლიც: ისინი დიდები არიან მხოლოდ ჩვენთვის, მხოლოდ ჩვენთვის არიან ძვირფასი და საყვარელნი; სხვებმა ისინი შესაძლებელია, ვერც კი შეამჩნიონ.

ბარათაშვილი-კი სულ სხვა არის; ის ყველასათვის ძვირფასია; ყველასათვის საყვარელი. მას ყველგან დაინახავენ, ყველა ქვეყანაში დიდ პოეტად აღიარებენ: იმიტომ რომ ერთის ფეხით ბარათაშვილი მტკიცეთა სდგას საკაცობრიო ნიადაგზე.

მაგრამ ბარათაშვილი არ მოსწყვეტია სამშობლო ნიადაგს: მეორე ფეხით ის სამშობლოზეა დაფუძნებული.

მსოფლიო სევდით შეპყრობილ პოეტს სამშობლოს შავი ბედი და მოწინავე წოდების გადაგვარება ჭირზედ ჭირს ჰმატებს.

საქართველომ მარტო თავისუფლება კი არ დაჰკარგა, ქართველმა მოწინავე წოდებამ საკუთარი სახე წაიშალა. „ქარმან ჩრდილოისმან“ მარტო ქალებს კი არ გამოუცვალა მამულის სიყვარულით გამთბარი გული, არამედ კაცებსაც თუ ძველად იყვნენ ისეთი პირები, რომლებიც სამშობლოს გულისათვის გასწირავდენ ყოველივე პირადს — ცოლს, შვილებს, საკუთარ თავს, — რუსების შემოსვლისათანავე გაჩნდენ ჩვენში ისეთი პირები, რომლებიც ქართველობას და მთელ საქართველოს ჩინსა და ორდენებზე ჰყიდდენ,

ბარათაშვილმა თავიდანვე მიაქცია ამ გარემოებას ყურადღება და მოგვცა სურათი, თუმცა მკრთალი, სოლომონ მსაჯულისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი მეუღლის — სოფიოსი, რომელთათვის სამშობლო და მისი კეთილდღეობა ყოველივეზე მაღლა სდგას.

სოლომან მსაჯულები დღეს არიან ჩვენთვის საჭირონი. დღეს უნდა ისმოდეს და გრგვინავდეს მათი ხმა.

დღევანდელი მსოფლიო ომის დროს საქართველომ მეტათ დიდი მსხვერპლი შესწირა რუსეთის სახელსა და კეთილდღეობას. საქართველოს შვილები ბრძოლის ველზე ერთი მეორეს ეჯიბრებოდენ და ეჯიბრებიან გმირულათ სიკვდილში. და ნუ თუ ამდენა მსხვერპლის გამომღებმა ქართველმა ერმა არაფერი არ უნდა მიიღოს?

ნუ თუ ქართველი ახალგაზრდობის სისხლი ისე უნდა დაიღვაროს, რომ ქართველ ერს არც ერთი ტკივილი არ დაუამდეს?

ქართველი ერი უმადურობას დაჩვეულია.

და ამიტომაც საჭიროა სიმტკიცე, სიკაჟე და ძლიერი ხმა, რომ ქართველ ერს აღარ შეუძლია ისე ცხოვრება, როგორც დღემდე ცხოვრებდა.

სამშობლოს შავი დღეებით გაღრმავებული მსოფლიო სევდა ბარათაშვილისა თანდათან გადაიქცევა სასოწარკვეთილების ზღვათ, რომლის აქაფებულ ტალღებში იშვის მერანი.

მერანი უგზო უკვლოთ მირბის, მიჰფრინავს უფსკრულისაკენ და თან მიაქანებს პოეტს, რომელსაც გამოუცნობის ძებნამ, მოუწდომელის ხილვის წყურვილმა სამუდამოთ საბოლოოთ დაუკარგა სულის სიმშვიდე.

პოეტს არ უნდა ბედს დაემორჩილოს; მას სწყურია, ბედის სამზღვარი გადაჰლახოს, რომ იქით მაინც ჰპოვოს სულის სიმშვიდე, მაგრამ ამაოდ: თვალბედითი შავი ყორანი მუდამ თან დასდევს მას და სწრაფი მერანითაც ვერსად ემალება.

ბარათაშვილი კლდეზე მიჯაჭვულ ამირანს ემსგავსება. ის ებრძვის დაუძლეველს. ადამიანის სულიერი ძალღონე სუსტია იმის დასაძლევათ, რისი დაძლევაც ბარათაშვილმა განიზრახა. ამიტომ პოეტი მარცხდება; ის ბედს ურიგდება:

ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის
ეს განწირულის სულის კვეთება!
და გზა უვალი, შენგან თელილი,
მერანო ჩემო, მაინც დარჩება,
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა
სიძნელე გზისა გაუადვილდეს.

გათელვა იმ გზისა, რომელზედაც ბარათაშვილს მისი მერანი მიაქროლებდა, შეუძლებელია.

რამდენიც უნდა იაროს ამ გზით კაცობრიობამ, ის მაინც გაუთელელი დარჩება.

აქშია ტრაგედია ჩვენი სიცოცხლისა; აქვეა ძლიერება და სამარადისო სიჭაბუკე ბარათაშვილის პოეზიისა.

ვ. კოტეტიშვილი

# რჩეული აზრები
## ნ. ბარათაშვილისა

მწუხრი გულისა — სევდა გულისა —
ნუგეშსა ამას შენგან მიიღებს,
რომ გათენდება დილა მზიანი
და ყოველს ბინდსა ის განანათლებს!

—

მაინც რა არი ჩვენი ყოფა,
წუთი სოფელი,
თუ არა ოდენ საწყაული
აღუვსებელი?
ვინ არის იგი, ვისთვის
გული ერთხელ აღევსოს,
და რაც მიელოს ერთხელ ნატვრით,
ისი ეკმაროს?

—

მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან —
შვილნი სოფლისა,
უნდა კიდეცა მივდიოთ მას,
გვესმას მშობლისა.
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი
მკვდარს ემგზავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის
არა იზრუნვოს!

—

ნუ ვინ იტყვის ობლობისა ვაებას,
ნუ ვინ სჩივის თავის უთვისტომობას,
საბრალოა მხოლოდ სული ობოლი:
ძნელია ჰპოვოს, რა დაკარგოს მან ტოლი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოხვრა არის შვება უბედურისა!

—

სახელმწიფოსა სჯულის ერთობა
არა რას არგებს, ოდეს თვისება
ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს;

—

ესრეთ რას არგებს კაცსაც დიდება,
თუ მოაკლდება თავისუფლება?
თავის მამულში მის გაჭირება
სხვა და სხვა რიგად ენუგეშება:
მუნ სულსა სული თვის დამაჩნის
და გულსა გულის პასუხი ესმის.

—

სასაცილოა ბერი კაცი რომ ყმაწვილობდეს,
და საბრალოა, როს ჭაბუკი ბერიკაცობდეს!

—

მოკვდავსა ენას არ ძალუძს უკვდავთა
გრძნობათ გამოთქმა!

—

სოფლად ყოველსა აქვს ჟამი და ბოლო.

—

სილამაზეა ჩიჭი მხოლოდ
ხორციელების,
და ვით ყვავილი თავისს დროზე
მსწრაფლად დაჭკნების;
აგრეთვე გულიც, მხოლოდ მისდა
შენამსჭვალები,
ცვალებადია, წარმავალი
და უმტკიცები!

—

მშვენიერება ნათელია,
ზეცით მოსული,
რომლით ნათლდება ყოველი გრძნობა,
გული და სული.

—

თვით უკვდავება მშვენიერსა
სულში მდგომარებს.

—

ყმაწვილობ თვე შეჩვეული რაზედმე სული, ძნელადღა გარდაცვლის ჩვეულობას და ვიდრემდის სრულიად გარდაეჩვევა, მწარეა ტანჯვა და ბრძოლა მისი.

—

რას ეფიქრებ, რომ ბოლო არა ჰქონდეს,
ისეთს რას მიიღებ, რომ არ დაკარგო?

—

სხვათა ბედნიერებათა სოფლისათა უყურე გულგრილად, ამაყად და გრწამდეს, რომ იგინი შეურჩენელნი არიან!

# სული ობოლი



**მგოსან-მოაზრე ნ. ბარათაშვილი *)**
**(1816—† 1845—1916)**

მინდა მზე ვიყო, რომ სხივნი
ჩემთ დღეთა გარსა მოვავლო,
საღამოს მისთვის შთავიდე,
რომ დილა უფრო ვაცხოვლო;
მინდა რომ ვიყო ვარსკვლავი
განთიადისა მორბედი...

**ნ. ბარათაშვილი**

დაობლებულმა საქართველომ წარმოშვა თვის სევდა-ვარამისა და გულის ჩამარხულ ზრახვათა გამომხატველი სული ობოლი — ნიკოლოზ ბარათაშვილი...

ეს ჩვენი მეცხრამეტე საუკუნის მწერლობის შვენება და გვირგვინი, სიამაყე და ნათელი სხივი...

სამშობლოს ხვაშიადთა გამომთქმელი და მისი მომავლის წინასწარმეტყველი...

საქართველოს მზე რო ჩაესვენა, იგი დაიბადა, რომ ამავე მზის ამოსვლის მორბედათ მოგვლინებოდა!..

**ვინ იყო იგი?**

მგოსან-მოაზრე ნიკოლოზ, იგივე ტატო, ბარათაშვილი დაიბადა ქ. თბილისს 1816 წ. გიორგობისთვის 22. მამა მისი მელიტონი ძველებურად აღზრდილი თავადიშვილი იყო, ბუნებით მკაცრი, ფიცხელი და ამავე დროს მეტისმეტად სტუმართმოყვარე. იგი ერთხა-

---

*) ცნობები ამოკრეფილია იოსებ იმედაშვილის ხელთნაწერ „ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი"-დან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნად თარჯიმანობდა, შემდეგ თბილისის მაზრის მარშლად იყო; ხელიგაშლილი ცხოვრების გამო მთელი თვისი ცხოვრება დალუპა, დავალიანდა და გაჭირვებაში ჩავარდა. დედა მგოსნისა იყო ერეკლე მეფის შვილის შვილის შვილი ორბელიანის ასული ეფემია, დაი მგოსნის გრ. ორბელიანისა, შინაურულად აღზრდილი. შვიდი წლის ბ-ს დედამ დააწყებინა წერა-კითხვა, შემდეგ კალოუბნის სამრევლო სკოლაში მიაბარეს, ხოლო 1827 წ „კეთილშობილთა სასწავლებელში“ (რომელიც 1830 წ. აწინდელ გიმნაზიად გადაკეთდა) ბუნებით ნიჭიერი, ცელქი და ოხუნჯი იყო და კარგად სწავლობდა. სასწავლებელში ყოფნისას მონაწილეობდა მოწაფეთა რუსულ ხელთნაწერ ჟურნალ „გიმნაზიის ყვავილ“-ში (Цвѣтокъ гимназiи). 1832 წ. კიბიდან გადმოვარდა და ორივე ფეხი დაიზიანა, რის მიზეზითაც სამხედრო სამსახურში ვეღარ შევიდა, რაიც გულით ენატრებოდა. კურსი შეასრულა 1835 წ, მაგრამ რადგანა სიღარიბის გამო უმაღლესი სწავლა ვერ განაგრძო, „საქართველოს უზენაესის მმართებლობის“ სამოსამართლო განყოფილებაში შევიდა. 1844 წ. ნახიჩევანის მაზრის უფროსის თანაშემწედ გაამწესეს, მეორე წელს იმავე თანამდებობაზე გადაიყვანეს განჯას, სადაც, გარდაიცვალა 1845 წ. ღვინობისთვის 9, დაბადებიდან 29 წ-სა და იქვე დაიკრძალა წმ. ზაქარიას და ელისაბედის ეკლესიის გალავანში თვისი ძმის გვერდით, ხოლო 48 წლის შემდეგ, 1893 წ. აპრილის 25, მადლიერმა სამშობლომ მისი ნეშტი თბილისს მოასვენა და დიდუბის ტაძრის გალავანში დაკრძალა.

**როგორ დროს ცხოვრობდა მგოსანი?**

გასული საუკუნის პირველი ნახევარი ჩვენს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში იმედების გაცრუების, მწვავე განცდის ხანა იყო. ოცდაათიან წლებში მამულის გასანთავისუფლებლად მომხდარ შეთქმულობის გამო დასჯილნი შორეულ ქვეყნებში იყვნენ დაფანტულნი, მამულიშვილნი აქა-იქ მიმალულიყვნენ, მთელი მაშინდელი საზოგადოება სალათას ძილს შეეპყრო, თითქო აღარავინ იყო ქვეყნის ბედზე ეზრუნა, ბ-ის დროის „თბილისი,—მგოსნისავე სიტყვით რომ ვსთქვათ,—

ისეთ ის ქალაქი იყო, უსარგებლო გონებისა და გულისათვის“. იყო პატარა წრე სოლომონ დოდაშვილისა და პოლონელ ლტოლვილ—გადმოხვეწილთა, მაგრამ ამ წრეს რა უნდა გაეწყო იმ დროის სულით დაცემის, ფუქსავატობისა და უიდეობის საზოგადო ცხოვრების შეტბორებულ ზღვაში; იმ დროს, როდესაც არც გონებრივი მუშაობა, არც საზოგადო—საქვეყნო საქმე არ აფრთოვანებდა ქართველის გულს. .

სულით სპეტაკ, გონებით მაღალ ადამიანისათვის აუტანელი იყო ასეთი მდგომარეობა...

და ბ-იც სწორედ ამ გარემოებით გრძნობდა მარტოობას, სულის ობლობას ..

მამულის დაობლებით გულ მოკლული, თანამემამულეთა უზრუნველობა დაუდევრობით სულ-შოშამული მგოსანი, თვის მაღალ მისწრაფებათა მოზიარედ მხოლოდ მნათობთა და გარემო ბუნებასა ჰხედავდა, ღელვილი სულის აღმონათქვამს მხოლოდ ფოლადისებურ სიმტკიცით ჩამოგვირისტულ ლექსებში ხატავდა.

მას „შინაგანი ხმა მიიწვევდა საუკეთესო ხვედრისაკენ, გული უბნებოდა, რომ შენ არა ხარ ახლანდელის მდგომარეობისათვის დაბადებულით!.“

**რას გვიმოძღვრებდა?**

მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევრის მგოსანთა შორის ბარათაშვილს პირველი ადგილი უკავია მაღალის ნიჭით, უძლიერეს გრძნობა-გონებით და თავისებური შემოქმედებით. მაშინ, როდესაც მისი დროის მგოსანნი სამიჯნურო—სატრფიალო, დროის გასატარებელ ლექსებს წერვით იქცევდენ თავს, სადევგმირო საქმეებსა და სხ. მისთანათ შეამკობდენ, ბ-ი ეხებოდა საკაცობრიო, უმაღლეს—უზენაესს იდეებს, ადამიანის სულიერ მოვლენათა დაფარულ აზრს, დარდსა და ვარამს. ამიტომაც იგი მიჩნეულია ქართველთა ბაირონად და მეცხრამეტე საუკუნის ჩვენი ახალი მწერლობის კილოს მიმცემად.

მსოფლიო ნაღვლიანობის გარდა, ბარათაშვილი ჰხედავდა, რომ „ჩვენი ცხოვრება იყო ფუჭი და მხოლოდ ამაოება“, სულს უშფოთე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბდა თანამემამულეთა დაკნინება, დაწვრილმანება, საზოგადო საქმეთა მიტოვება. ამიტომ სულით ამ ღლეებისკენ მოუწოდებდა და გვასწავლიდა:

არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი
მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის
არრა იზრუნვოს“-ო.

საქართველოს საკუთარ სახელმწიფოებრივ კერის მოშლა, უცხო ერის მფარველობაში შესვლა არა ნაკლებ აფიქრებდა და წინასწარმეტყველური გონებით, სოლომონ მსაჯულის სახით, წინადვე განსჭვრიტა „რომე ივერნი არ იქნებიან რუსთ ხელთ ბედნიერნი“, რადგანაც „სახელმწიფოსა სჯულის ერთობა არარას არგებს, ოდეს თვისება ერთ მის შორის სხვა და სხვაობდეს“-ო და კითხულობს:

ვით შეიწყნაროს რუსთ მეფობამა,
რაც მოისუროს ქართველობამა?—ო

მამულის მწარე ხვედრით და თანამემამულეთა დროებით უქნარობით მაინც სამუდამოდ გულს არ იტეხდა, არამედ ღრმადა სწამდა, „რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს;“— რომ კაცობრიობას ოდესმე გაუადვილდება „სავალი გზა“,—რადგან ქვეყნად უცვლელი არაფერია, ყოველივე წარმავალია და არსებული წეს წყობილებაც შეიცვლებაო..

**რა განძი დაგვიტოვა?**

ბარათაშვილს ბევრი ნაწერი არ დარჩენია: თვისი ღრმა და მაღალაზროვანი აზრები სულ რამდენიმე ლექსში ჩამოაყალიბა. დაწერილი აქვს 34 ლექსი, 1 პოემა „ბედი ქართლისა“ და 14 წერილი, სხვადასხვა პირებთან. ჰქონია აგრეთვე პოემა „ივერიელნი“, 10—12 სს. საქართველოს აყვავებული ცხოვრების დასურათება, და ნათარგმნი ტრაგედია „იულიოს ტერენტელი“, მაგრამ ორივე ეს ნაწარმოები ჯერჯერობით დაკარგულია.

ბარათაშვილის ლექსები, ჟურ. „ცისკრის“ დაარსებამდე, ხელთნაწერებად ვრცელდებოდა (სხვათაშორის თვით ბარათაშვილს რამდენჯერმე გადაუწერია ერთი და იგივე ლექსი ნაცნობთა შორის გასავრცელებლად). ცალკე წიგნად გამოიცა პირველად 1875 წ., შემდეგ რვაჯერ. რუსულად გამოიცა 1905 წ. „Баратовскій томикъ“, რჩეული ლექსები კრიტ.-ბიოგრ. წერილით. გადათარგმნილია აგრეთვე გერმანულს, სომხურს და სხ. ენებზე.

დიახაც, ბარათაშვილს შეეძლო ეთქვა:
„მინდა მზე ვიყო, რომ სხივნი
ჩემთ დღეთა გარსა მოვავლო,
საღამოს მისთვის შთავიდე,
რომ დილა უფრო ვაცხოვლო!“

იგი უკვე ჩვენი მწერლობისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გათვითცნობიერების მზეა... ის ჩვენი ქვეყნის თვითარსებობის დაკარგვის საღამოს ჩაესვენა, რომ უფრო ბრწყინვალედ ამოთინათინდეს ჩვენი განახლების დილის გასაცხოვლებლად.

როგორც გასულ საუკუნის დასაწყისში ობლად იშვა ჩვენი სულის ობლობის მგოსანი, დღესაც მეოცე საუკუნის დასაწყისშიაც, ობლად სდგას, განმარტოებით...

ჩვენს მწერლობას ჯერაც კიდევ არ მოვლენია მისებრ ცეცხლ-მფრქვევი, სამშობლოს სევდით და მსოფლიოს ვაებით გამსჭვალული ქართველი მგოსანი...

ნ. ბარათაშვილის სული კი ელის გამოხმაურებას, ძლიერს და ომახიან გამოხმაურებას..

და დიადს წინაპარს რომ ღირსეული მემკვიდრე არ გაუჩნდეს არ გვჯერა: შეიძლება გვიან მაგრამ მაინც გაჩნდება და ეს იქნება იმ საქართველოში, რომლის არსებობასაც შესტრფოდა მგოსნის ობოლი სული სოლომონ მსაჯულის ბაგით...

ვეცადნეთ, რომ ეს წუთი მალე გვღირსებოდეს..

**იოსებ არიმათიელი**

## ნ. ბარათაშვილის ხსოვნას!..

შენ არ მომკვდარხარ, დროებით
შესწყვიტე გულის ძგერანი;
დადუმდა მხოლოდ, მგოსანო,
უმხედროდ შენი მერანი!..
არ კვდება, თავზე დაგვყვირის
წყეული შავი ყორანი,—
უმხედროდ დადუმებულა,
მგოსანო, შენი მერანი!
თავს დაგვტრიალებს ტიალი
შავი ყორანი ვერანი,—
უმხედროდ მოწყენილია,
ნიკოლოზ, შენი მერანი!..

**ვანო რონინიშვილი**

# მერანი



მირბის, მიმაფრენს, უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი,
უკან მომჩხავის თვალ-ბედითი შავი ყორანი!
გაჰსწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი შავად მღელვარი!

გაჰკვეთე ქარი, გააპე წყალი, გადაიარე კლდენი ღრენი,
გაჰსწი, გაკურცხლე და შემიმოკლე მოუთმენელსა
სავალნი დღენი!
ნუ შეეფარვი, ჩემო მფრინავო, ნუცა სიცხესა, ნუცა
ავდარსა,
ნუ შეიბრალებ დაქანცულობით თავგანწირულსა შენსა მხედარსა!

რაა, მოვშორდე ჩემსა მამულსა, მოვაკლდე ჰსწორთა და მეგობარსა;
ნულა ვიხილავ ჩემთა მშობელთა და ჩემსა სატრფოს ტკბილ მოუბარსა, —
სადაც დამღამდეს, იქ გამითენდეს, იქ იყოს ჩემი მიწა სამშობლო;
მხოლოდ ვარსკვლავთა, თანამავალთა, ვამცნო გულისა მე საიდუმლო!

კვნესა გულისა, ტრფობისა ნაშთი, მივცე ზღვის ღელვას,
და შენს მშვენიერს, ელტვაცებულს, გიჟურსა ლტოლვას!
გაჰსწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის:
ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა, ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარის, —
შავი ყორანი გამითხრის საფლავს მდელოთა შორის ტიალის მინდვრის,
და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა, ზარით, ღრიალით, მიწას მომაყრის!

სატრფოს ცრემლის წილ, მკვდარსა, ოხერსა დამეცემიან ციურნი ცვარნი,
ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად მიაღალღებენ სვავნი მყივარნი!
გაჰსწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გადმატარე ბედის სამძღვარი,
თუ აქამდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი!

დაე, მოვჰკვდე მე უპატრონოდ მისგან ოხერი!
ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა, მოსისხლე მტერი!
გაჰსწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულის კვეთება!
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება,
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს,
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავს ბედის წინ გამოუქროლდეს!

მირბის, მიმაფრენს, უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი,
უკან მომჩხავის თვალ-ბედითი შავი ყორანი!
გაჰსწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

1842 წ.წ. მაისის 9

ნ ბარათაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



(მერანი, ა. მრევლიშვილის ნახატიდან)

# ბედი ქართლისა

**ერეკლე მეფე და სოლომონ მსაჯული**

მორბის არაგვი არაგვიანი,
თან მოსძახიან მთახი ტყიანნი,
და შეუპოვრად მოუთამაშებს
გარემო თვისსა ატეხილ ჭალებს. .
მზე დამავალი მოჰფენს სიამეს
მთიულეთისა ხეობის არეს,
და ამ მშვენიერს არაგვის პირებს
ძველი ჩარდახი ზედ გადმოჰყურებს. —



მუნ ბრძანდებოდა მეფე ირაკლი,
მოწყენის თვალით გადმომზირალი;
დაფიქრებული თვისთა ზრახვათა
გაცაართობდა ქარვის მარცვალთა.
თან ახლდა მეფეს თავის მსაჯული,
ნიჭთა კეთილთა უხვად მორჭმული.

ვის არა გახსოვთ სოლომონ ქველი,
მეფის შინაუმა, უმათ საყვარელი!
დიდხანს უჭვრეტდა მეფე მდუმარე
არაგვის წყალთა, მდენთა მჩქეფარედ
ბოლოს მახვრალმან უბძანა მსაჯულს:

**ერეკლე მეფე**

„შენ იცნობ კარგად, სოლომონ, ჩემს გულს,
შენ უწყი ქართლის აწ ვითარება,
მისი აწ ძალა, ყოფა, ცხოვრება;
ბევრ-ჯერ რჩევანი შენნი, ვითა წყლულს,
მსალბ ნებიან მე შეწუხებულს;
აწც ჩემს სულის ტვირთს, ჩემს გულის
წადილს,
შენ გაგიმჟღავნებ, ვით საყვარელ შვილს!“
„არ მითვისებდა ქართველთა გული,
რომ ვიყავ მათი მეფე ეული:
ჩემი მეფობა ზედ დავასრულე,
რომ ძლივს იგინი გავიერთგულე!
და ახლა, ოდეს ჩემს ხელმწიფობას,
განუმზადებდი ქამ კეთილობას,
აი მის ნაცვლად რაი მომაპყრეს
მე ჩემთა ძეთა — და ვინ ახარეს...“
„ამ ერითგან გაქეზებული,
მაჰმად-ხანისა მოსისხლე გული
არ დაგვაწყნარებს სიამაყითა:
მას ქამი შეჰსწევს ყოვლის ღონითა;
ეს ხმა ლეკთაცა აგვიყაყანებს;
ოსმალი მხოლოდ დროსა უყურებს,

და მტერნი ძლიერ მაშინ მოგვატყდენ,
როს ყმანი ჩემნი ურთიერთ ბძარვენ!
მეც თუმცა კვლავ ვჰგრძნობ სულის სი-
მტკიცეს,
გარნა ლონენი წელთ წარმიტაცეს:
შენი ირაკლი ის აღარა ვარ,
პატარა კახად რომ გინახივარ!
აბა, რომელს შვილს ჰხედავ ღირსეულს,
რომ ექმნას კვერთხად მამულს დარღვე-
ულს?..
ჰა, ღმერთო, ღმერთო, ამაზედ მეტად
ნულა განჰსწირავ ქართველთა ტანჯვად!
აბა რას მირჩევ, ჩემო მსაჯულო?
კარგათ იფიქრე, შვილო ერთგულო:
აწ განთქმულია რუსთა სახელი,
ხელმწიფე უვით ბრძენი და ქველი,
დიდი ხანია გვაქვს ჩვენ ერთობა,
მტკიცე კავშირი—სარწმუნოება, —
მას მსურს რომ მივცე მემკვიდრეობა
და მან მოსცეს ქართლს კეთილ-დღეობა!“
ამის გამგონი ჩვენი მსაჯული
უშვრეტდა მეფეს, განცვიფრებული:
მას არ ჰსჯეროდა, რომ ირაკლის გულს
ჰხედვიდა იგი ესთ შეცვალებულს

**სოლომონ მსაჯული:**

„რასა მიბრძანებ! ჰკადრა მან მეფეს,
ბატონო, ღმერთი გადღეგრძელებდეს,
ნუ გააგონებ მაგ ხმას ქართველთა,
ესდენ შენზედა მსასოებელთა!
ჯერ სამაგისო რა გვემართება,
რომ განვისყიდოთ თავისუფლება!“
„იცი, მეფეო, რომე ივერნი
იქმნებიან რუსთ ხელთ ბედნიერნი?
სახელმწიფოსა ჰსჯულის ერთობა
არა რას არგებს, ოდეს თვისება
ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს;
ვინ იცის, მაშინ როგორ მოუხდეს
რუსეთის ძალი ქართლს აწინდელი,
ვით შეითვისოს რუსმა ქართველი,
ვით შეიწყნაროს რუსთ მეფობამა,
რაც მოისურვოს ქართველობამ?
მაშინ, მეფეო, რავდენთ კაცთ მართალთ
მოუკლან გულნი ტანჯვათ იდუმალთ!
მაშინ ირაკლის სახსენებელი,
ვინღა ახსენოს აწ საქებელი?
ნუ, ხელმწიფეო, მას ნუ ინებებ,
შენგან კი მაგას ნუ გაგვაგონებ,
და მერმე ქართლი ვინც ვერ განაგოს,
მაშინ მან უწყის, რაც მოაგვაროს;
ხოლო ირაკლი ვიდრე ჰყავთ ქართველთ,
უბედურებაც ბედნიერ აქვნდეთ!“—

**ერეკლე მეფე.**

„ჩემო სოლომონ, მეფემ უბრძანა,
მე ეგ ყოველივე არ ვიცი განა?
მაგრამ კეთილთა დღეთათვის ქართლის,
რა მოვაგვარო უმჯობეს ამის?
მე არა ვჰფიქრობ, ვითარცა მეფე,
თვისს დიდების თვის სისხლთა ადმჩქეფე,
არამედ ვითა მამა კეთილო,
რომელსა ჰსურს, რომ თავისი შვილი
თვისს სიცოცხლეშივ დაასახლკაროს.
ძნელ-არს ცხოვრება სამეფოსი, როს
უქვრეტდეს იგი ოსა დღე დღითი?
აი ხომ ნახე აწ მაგალითი:
რა ჰქმნა ამ ერთმა დამარცხებამან!
კარგი, რომ კიდევ აღა-მაჰმად-ხანმა
ქალაქს დაჰჯერდა განძვინებული,
სხვით არ აღივსო მან საწყაული!
ახლა კი დროა, სოლომონ, რომა
მშვიდობა ნახოს საქართველომა,
მან საფარს ქვეშე მხოლოდ რუსეთის
ამოიყაროს ჯავრი სპარსეთის,
და მხოლოდ მაშინ უექვოდ გვრწამდეს,
რომ ქრისტიანთ ხმა მარად ისმოდეს
საფლავთზედ ჩვენთა მამა-პაპათა,
და განისვენონ აჩრდილთა მათთა!“—
ვეღარ გაუძლო მსაჯულსა გულმან
დაჰკადრა მეფეს, აღშფოთებულმან:

**სოლომონ მსაჯული**

განზრახვა შენი, მეფევ, მაკვირვებს!
ირაკლიმ იცის, რომე ქართველებს
არად მიაჩნით უბედურება,
თუ აქვთ თვისთ ჰერთ ქვეშ თავისუფლება“.

**ერეკლე მეფე:**

„სულ მართალია, ჩემო სოლომონ
მაგრამ აბა ჰსთქვი, ქართველთა რა ჰყონ
ამ უბედობის და დარღვევის დროს?
აბა ირაკლიმ რა მოაგვაროს
მშვიდობისათვის ხაყვარელთ ყმათა?..

აი მივიღებ მე შენთ რჩევათა
და დავიდუმებ ჩემსა გულის თქმას;
ნუ დაივიწყებ მაგრამ ჩემს სიტყვას,
რომ დღეს იქნება, თუ ხვალ იქნება,
ქართლსა დაიცავს რუსთ ხელმწიფება!"
ასე ირაკლი და მის მსაჯული,
მამულისათვის გულ-მტკივნეული,
ქართლის ბედსა განსამართლებდნენ,
ხოლო ქართველნი მამულს ჰგლოვობდნენ!..
დიდ ხანს დაჰყოფდა ბატონი ჩუმად,
დაფიქრებული მწუხარედ და ღრმად
შემდეგ უბრძანა სოლომონ მსაჯულს:
"ახლა კი დროა ჩვენს გაოხრებულს
ქალაქს ჩავხედოთ; მაგრამ ჯერ ერთი,
მინდა ვიხილო კიდევ კახეთი,
შევიტყო კახთა საჭიროება,
ვჰსცნა ჰაზრია მათია აწ ვითარება;
შენ კი აქედგან ქალაქში ჩადი
და დამახვედრე ჩემი სამზადი."

II

**სოლომონ მსაჯული და სოფიო**

დილაზე ადრე მოვალს მსაჯული
ქსნის ხეობაში, დაფიქრებული;
ვიდრემდის იყო შიშიანობა,
მას აქ ესახლა თავის სახლობა,
და მომავალმა აწ ქალაქისკენ,
გამოიარა თავის სახლისკენ.
მეფის ჰაზრთაგან სულით ღელვილი,
ჰზრახვიდა გულში მამულის შვილი:

**სოლომონ მსაჯული.**

"მადლობა, ღმერთო, შენსა განგებას!
ერთს კაცს მოჰმადლებ ყოვლთა უფლებას
და მისს ერთს სიტყვას მონებენ ერნი,
განურჩევლად სულელნი, ბრძენნი,
და იგი მათს ბედს ასე განაგებს,
ვითა ამღერდეს იგი კამათლებს!
მაგრამ შენ, მეფევ, ვინ მოგცა ნება —
სხვას განუბოძო შენთ ყმათ ცხოვრება,
მისდევდე შენსა გულის კვეთებას
და ურთგუნვიდე თავისუფლებას?
შენ ერმან მოგცა პირველ ღირსება,
რათა დაუცვა ყოფა-ცხოვრება,
და რად ივიწყებ, რომე მარადის
ერსა ეკუთვნის გულის თქმა მეფის!.."
ამ ფიქრში იყო მსაჯული, ოდეს
მოადგა თავის სახლისა არეს.
წინ მოეგება მას თავის ცოლი,
სათნო სოფიო, სულისა ტოლი;
ახლაც ბევრს ახსოვს მისი ზრდილობა,
მშვენიერება, გულ-კეთილობა.
რა დაინახა მან თავის ქმარი,
სახე-შეცვლილი, მონაწყენარი,
ამბავი ჰკითხა მეფის ირაკლისა.—
ასესაყვარელ იყო ყოვლისა!



(ვ. გუდიაშვილის ნახატი)

**სოლომონ მსაჯული:**

"ვეჭობ, სოფიო, რომე ირაკლი,
ქართველებზედა იყოს გულნაკლი;
მას ზედ ეტყობა, რომ მისი სული
ძლიერად არის აღელვებული!
მწარედ უპირებს ბატონი დასჯას
თავის შვილების ამა ურჩებას:
ვეჭობ, რომ იგი სამეფოს ქართლის
აძლევს საფარს ქვეშ რუსთა ხელმწიფის.
მაშინ უყურე ჩვენს დედაკაცებს,
როს საცხოვრებლად დიდ-კაცთა ცოლებს
პეტრეს ქალაქში გარდაასახლევენ!
მაშინ, სოფიო, რაღა გინდათ თქვენ?
ხელმწიფეს ჰპოვებთ მამად კეთილად
და დედოფალსა დედისა ნაცვლად;
არ მოგაკლდებათ თავისუფლება,
განცხრომილება, ფუფუნეულება,
მათთა სიმდიდრის პალატთა შორის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ გაიგონებთ მუნ ხმასა მტერის,
მრავალთ სიამით იხილავთ კვალად
ბანოვანთათვის გულ-გასართობლად:
მაშინ კი ვისღა მოესურვება,
ნახოს ქართლისა კვლავ ამოხვება! —

**სოფიო** „უწინამც დღე კი დამელევა მე!
უცხოობაში რაა სიამე
სადაც ვერვის იკარებს სული
და არს უთვისო, დაობლებული?
რა ხელს-ჰყრის პატივს ნაზი ბულბული,
გალიაში დატყვევებული!
და ველად იგი, ამხანაგთ შორის,
ჰკრისაც ვით ლხინსა ერთგვარ დამღერის!
ესრეთ რას არგებს კაცსაც დიდება,
თუ მოაკლდება თავისუფლება?
თავის მამულში მას გაჭირება
სხვა და სხვა რიგად ენუგეშება:
მუნ სულსა სული თვისად მიაჩნის
და გულსა გულის პასუხი ესმის!“
„რად დაგვრჩომია სხვაზედა თვალი,
ოდეს მეფეცა და დედოფალი
გვყვანან კეთილნი და ღირსეულნი,
და ვართ მათთანა შვილებრ ჩვეულნი?
ჩვენის დედოფლის გულისა ნაცვლად,
მწუხარებათა სანუგეშებლად,
რასა ვიპოვით ჩვენს სიცოცხლეში?

. . . . . . . . . . . . . . . . .

მსაჯულს ეგონა, რომე იგი გულს
დედაკაცთაცა ჰპოვებს ცვალებულს,
და აწ, რა ნახა ცოლი ამ ჰაზრით,
გარდაეხვია მას მხურვალებით. —

ჰოი დედანო, მარად ნეტარნო,
კურთხევა თქვენდა, ტკბილ სახ-ოვარნო
რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ
სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ!
ვინღა ჰყავს გულის შემატკივარი
მამულს ასული, ახლა თქვენგვარი?
ქალმან ჩრდილოსმან ყველაზედ პირველ
გარდაუცვალა მათ გული ცხოველ!
ჯანი გავარდეს აწ შვილსაც, მამულს,
ოღონდ ვაამოთ ჩვენს საკუთარს გულს:
რის ქართველობა, რა ქართველობა!
მითომ რას გვავნებს უცხო ტომობა?..

**ნ. ბარათაშვილი**

1839 წ.

*
* *

ვპოვე ტაძარი, შესაფარი, უდაბნოდ მდგარი:
მუნ ენთო მარად უქრობელი, წმიდა ლამპარი;
ანგელოსთაგან იკრთოდა მუნ დავითის ქნარი,
და განისმოდა ციურთ დასთა გალობის ზარი!
მწირი სოფლისა, დამაშვრალი მისითა ღელვით,
მუნ ვეძიებდი განსვენებას წრფელთა ზრახვით;
გულსა, მოკლულსა კაცთ სიავით და ბედის ბრუნვითა
ლამპარი წმიდა განმიტფობდა ციურის სხივით!
მუნ გუნდრუკის წილ, შევსწირავდი წმიდას სიყვარულს,
რომლის საკურთხად ავსდებდი მე ჩემს გულსა და სულს;
ამა სიამით, ნეტარებით, ესრედ აღვსებულს,
მეგონა ვხედავ სასუფეველს, აქ დაშენებულს!
მაგრამ საწუთრო განა ვისმეს დიდ ხანს ახარებს?
განჰქრა ტაძარი — და უდაბნო ჩემდა მდუმარებს;
მას აქეთ ჩემ გულს ნეტარება არ ასადარებს;
მის ნაცვლად სევდა და წყვდიადი დაისადგურებს!
მოისპო მიწრფლად მისი ნაშთი და მისი კვალი!
განა თუ დრომან დაჰკრა თვისი მას ავი თვალი?
არა, მოსძაგდა მას სოფელი ცრუ და მუხთალი!
დამშთა მე მხოლოდ მის ლამპარისგან ცეცხლი დამქრალი?
ვერღა აღმიგო სიყვარულმა კვალად ტაძარი!
ვერსად აღვანთე დაშთომილი მისი ლამპარი!
ესრეთ დამიხშო უკუღმართმა ნუგეშის კარი,
და დავალ ობლად, ისევ მწირი, მიუსაფარი!

1841 წ. **ნ. ბარათაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ რა სწრისაა

## ნიკოლოზ ბარათაშვილსა და მის პოეზიაზე?

**ნ. ნიკოლაძე („Тифлисскій Вѣстникъ“-ში 1876 წ.) შემდეგსა სწერს:**

„ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები ქართულ ჟურნალ „ცისკრის“ დაარსებამდე—1852 წ. ხელთნაწერებით ვრცელდებოდა ქართველ მკითხველებში. შემდეგში-კი ყველა ქართული ჟურნალი,—„ცისკარი“, „საქართველოს მოამბე“, „მნათობი“ და „კრებული“—დროგამოშვებით ჰბეჭდავდნენ ხოლმე წვრილმან ლექსებსა და პოემა „ბედი ქართლისა“ ნაწყვეტებს.

„მაშინ, რომელნიც კი თვალყურს ადევნებდნენ ქართულს მწერლობას, შენიშნავდნენ, რომ ის ოცდაათიოდე ლექსი, რომელიც ხელმოწერილი იყო ნ. ბარათაშვილის სახელით, დიდად ნიჭიერისა და გრძნობიერის პოეტის ნაწერი უნდა ყოფილიყო. განსაკუთრებული თვისება იმისი პოეზიისა ის არის, რომ მისი ლექსები ისეთის აზრითა და გრძნობით არის დაწერილი, ისეთის ძლიერის სიტყვებით გამოთქმულ-გამოხატული, რომ ღრმა შთაბეჭდილებასა სტოვებს...

„თუ სახეში მივიღებთ ქართულ მწერლობის მდგომარეობას ნ. ბარათაშვილის დროს და განსაკუთრებით მაშინდელ პოეტების ზერელ პოეზიისა და მისს დანიშნულებაზე, მაშინ სამართლიანმა და უპყუვარმა კრიტიკამ უნდა აღიაროს ბარათაშვილი ჭეშმარიტ განმაახლებლად ქართულის მწერლობისა. წინანდელი პოეტების ლექსები მხოლოდ ღვინოსა და სატრფოს დასტრიალებდა. თითქმის სულმნათ რუსთაველის შემდეგ ვერც ერთმა ქართველმა პოეტმა ვერ შეითვისა და ვერ შეიხორცა ის აზრი, რომ პოეზია სატრფიალო და ქალის სიყვარულის გამოსაკვანძად არ არის გაჩენილი...

„იშვიათი იყო ისეთი მწერალი, რომელიც თავისს ლექსებში დრო-ჟამის ვითარებასა და სიავეს შეჰხებიყო, და არც ერთს, გარდა დ. გურამიშვილისა, არ გაუბედია გამოეთქვა ლექსებით ცხოველი აზრი თავის დროის ცხოვრების სხვადასხვა საგნებზე...

„ცხადია, ასეთ მწერლობაში რა დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთს ნიჭიერს პოეტს, რომელმაც პირველად გაჰბედა გაემსჭვალა თავისი ლექსები დრო-ჟამი ცოცხალის მოტივით და გამოეთქვა მაშინდელ საუკეთესო კაცთა გუმანი, გულისნადები და მისწრაფებანი...

„ნ. ბარათაშვილს არ უყვარს მრავალსიტყვაობა; ამიტომ იმისი ლექსი გარეგან ფორმით ძლიერ მოკლედ მოჭრით-გამოთქმულია და საზოგადოდ, ის ისევე შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველებზე, როგორც ლექსნი რუსეთის დიდებულ პოეტ ლერმონტოვისა. ჩვენის პოეტის ლექსი, როგორც ლერმონტოვისა, ისეთივე ძლიერი და მკვეთრია, იმგვარადვე მოკლედ გამოხატულია, წვრილმანების სრულის უყურადღებობით, და იმნაირადვე გამოკვეთილი, თითქოს ჩაქუჩსა სცემს მკითხველს თავში და უნდა ღრმად ჩაუსვას, ჩააგონოს თავისი აზრით. კიდეც ამიტომ ნ. ბარათაშვილის ლექსებიდან ქართველს მრავალი ანდაზები და აფორიზმები ამოუღია; ეს ხომ უტყუარი საბუთია, რომ ძალა ბარათაშვილის ნიჭისა ძლიერია, დიდია...

„ნ. ბარათაშვილის ლექსები გარეგან ფორმით წლით წლობამდე უკეთესდებოდა, ვითარდებოდა და ძლიერდებოდა: უფრო მკვეთრი, უფრო ენერგიული და მოკლედ მოჭრილი გამოდიოდა. 1845 წლის ახლოს წინედ, ხომ ისეთი ლექსი დაგვიწერა სულმნათმა, რომ თამამად შეგვიძლიან ხალხის პოეზიისა და გენიოსის ნაწარმოებად მივიღოთ. ქართველ მწერლობაში პირველად ამ ლექსმა შეითვისა ხალხური სასაუბრო ენა, ხალხის გამოთქმა, ხალხური კილო.—ერთი სიტყვით, ქართულმა სახალხო პოეზიამ ამ ლექსში ჰპოვა თავისი ჭეშმარიტი სახე...

„ამასთანავე, თუ სახეში მივიღებთ,—ერთის მხრით, რომ ნ. ბარათაშვილის ლექსი თანდათან უკეთესდებოდა და მეორეს მხრივ, სულ-მნათი პოეტი ძლიერ ადრე, მეტად ყმაწვილი გამოესალმა წუთი სოფელს,—მაშინ კიდევ ეს მსგავსება პოეტით მას და ლერმონტოვს შორის, უთუოდ ჩვენი პოეტი, როგორც ლერმონტოვი, სამშობლო პოეზიასა და მწერლობის განვითარების საქმეს უდიდესს და უძლიერს იმედს უქადდა და თუ დასცლოდა იმას მომეტებულს ხანს სიცოცხლე, მაშინ მისი ნიჭი ისე განვითარდებოდა და მისი მოღვაწეობა მწერლობაში ისე განმტკიცდებოდა, რომ შორის დასტოვებდა და ძლიერაც დაჩრდილებდა ყოველსავე მას, რაც ყმაწვილობის დროს უწერია პოეტს და რაც ეხლა შეადგენს საუკეთესო განძს ქართულ პოეზიისა და მწერლობისას“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**პროფესორი ალ. ცაგარელი** (გაზ. „დროების“ 1870 წლის მე 3 ნომერში) სწერს:

„ნიკოლოზ ბარათაშვილი სდგას ჩვენს ლიტერატურაში ერთად-ერთი, განცალკევებული; არც თვითონ მისდევდა ვისგანმე დაქნილ ბილიკს და ვერც არავინ იმის შემდეგ იმისგან თელილ გზაზე გაიარა; ის არ საჭიროებდა სხვის მიბაძვას და იმას კი ვერავინ მიჰბაძ; თავისათვის თითონვე გასჭრა გზა და იმის სიკვდილის შემდეგ იმის კვალი ისეთივე უვალი მინდორი შეიქმნა, როგორც ადრე იყო. ვიღამაც სთქვა, რომ ნ. ბარათაშვილი ჩვენი ბაირონი არისო, — ამ სიტყვებში მართლა და ბევრი ჭეშმარიტება არის და არც არაფერია სათაკილო ამ შედარებაში ინგლისის დიდ პოეტისათვის: ისიც ისეთივე მაღალი და მიუბაძავია პოეზიისა და ხასიათის-კილოთი, როგორც ესა. კაცი თითქმის ყოყმანობს ამ ღრმად ჩაფიქრებულ მოძმეს, გულით ჭირის-უფალს — „ქართველი“ დაუძახოს. მე არ მინახავს ჩემს დღეში ქართველი, წარბ-შეკრული სამოქალაქო გრძნობისაგან და მაღალი კაცობრიულ აზრებისაგან შეკომშილი სახით.

„თუ თვალს გადავავლებთ, ნ. ბარათაშვილის რკინისა და ფოლადის ლექსებს, მაშინათვე წარმოიდგენთ კაცს, რომელიც ყველაზე მაღლა სდგას გრძნობით, ნიჭით და ხასიათით, — იალბუზსავით მიუკარებელი... მაღალი, შორს გამჭვრეტი, ყველა მხარის მხედველი, მუდამ თავ და შუბლ წაბურული, როგორც იალბუზი, მარად გარემოხვეული გულის მკვლელი და მომწყვლელ სევდის ნისლითა...

„ამ ჩვენის სასიქადულო პოეტის ლექსებზე და ენაზე ის უნდა სთქვას კაცმა, რაც იმის საკვირველ ბუნებაზე ითქმის: გრძნობის ძალით და სიმაღლით, ჭეშმარიტ პოეტურ წარმოდგენით, თავისუფალ ძალ დაუტანებელ ლექსის მიმდინარეობით, მტკიცედ და ცხადად საგნის გამოხატვით, სულთქმა-ვნებათა გამოთქმით, პოეზიის უხვლად შემრხეველ კილოთი, რომელიც პირდაპირ მკითხველის გულს ეტანება და სწორედ იმას აგრძნობინებს მკითხველს ანუ მსმენელს, რაც პოეტს უნდა აგრძნობინებინა, — ყველა ამ გასაოცარ დიდ პოეტურ თვისებით, ვამბობთ, ძნელი შესადარებელია ის ყველა დანარჩენ ქართველ პოეტებთან, შოთა რუსთაველის გარდა.

„ქართული ენა ნ. ბარათაშვილის ლექსებისა დიდად დახელოვნებული და შემუშავებული არის: არც სულ ძველი არც ახალი, არც მწიგნობრულ-ხუცური, სწორედ ისეთი, როგორც უნდა იყოს ლიტერატურის და პოეზიის ენა. ლექსთ-წყობა მშვენიერია; რითმა გასაკვირველის ხელოვნებით არის გამოთქმული... პირდაპირ გულის სიღრმიდან წყაროსავით მოჩუხჩუხებს განმაცხოველებელი გრძნობა და პოეტური წარმოდგენა... ამის ლექსი შეეხება ყველა ნაირ საგანს, მაგრამ რაც გინდა ქალწულოვან და დამატკბობელ საგანზე უნდა დამღეროს, მაინც და მაინც რადაც ნაღვლიან სევდის კილოს გაადევნებს; რაც უნდა ერთმანერთის წინააღმდეგ საგნებზე ლექსობდეს, მაინც ენასაც და ლექსის კილოსაც იმგვარად შეუფარდებს და შეუწონს ლექსის საგანს, რომ კაცს უჭირს წარმოიდგინოს, თუ ერთსა და იმავე კაცს შეეძლიან სრულიად წინააღმდეგ გრძნობების ასეთის ხელოვნებით გამოხატვა და გამოთქმა; კაცს უჭირს დაიჯეროს, რომ ლექსებისა: „სულო ბოროტო“, „ჩემს მერანს“, ანუ „ფანტაზიის“ ავტორს ამ გვარი ქალწულოვანი ლექსები დაეწეროს, როგორც „მადლი შენს გამჩენს, ლამაზო ქალო, მაგ-თვალებიანო“ და „თვალები“.

---

# რა წრეში აღიზარდა ნ. ბარათაშვილი?

ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრება ჩვენთვის სადათ არის ცნობილი. ვიცით მისი ვინაობა, დაბადება, გაზრდა, სამსახური და მერე უდროვოთ გარდაცვალება. ასეთ ცნობებს გარდა მისი პოეზიის სამგლოვიარო კილოსაც ვიცნობთ. როგორც პოეტის ცხოვრება, ისევე ამის ლექსები ბევრს აუწერია და გაურჩევია უმრავლესთა აღწერანი თითქმის ერთნაირის ცნობებით და კილოთი არის დაწერილი.

პოეტის ცხოვრების პირობების თითქმის უმეტესი ნაწილი ჩვენთვის უცნობია და გაურკვეველი. ნამეტურ პოეტის იდეის აღორძინების დასაწყისი, მისი პოეზიის კილოს მორთულობა და ბევრიც სხვა ასეთი მიზეზი ჩვენთვის უცნობია და დაფარული. პოეტი არც ციდან იყო ჩამოვარდნილი, არც მიწიდამ ამომძვრალი; უეჭველ-

ლია, როგორც სისხლ-ხორც შესხმულ არსებას, მაზედაც ექნებოდა ვისმეს გავლენა.

ამას ჩვენ თამამად ვამბობთ, რადგანაც 1800 წლის შემდეგ ქართველები მიეცენ ღრმა ძილს, ხან-კი ნამძინარევნი სუფრას მოუჯდებოდენ და დროს ატარებდენ. ასეთის დროს გასატარებლათ ხშირათ ლექსებსაც სწერდენ, მაგრამ როგორ ლექსებს! სულ არშიყულს, ღვინის სმის

შემამკობელს და სხვა ასეთებს, რის მოთვლაც აქ საჭირო არ არის, რადგანაც ასეთ ლექსების მჯღაბნელნი ქართულ მწერლობაში დღესაც ბევრნი გახლავან.

1801 წლიდან საქართველოში გაჩნდა არშიყობის და ლოთობის სკოლა და ვინც თვალს გაახელდა, იგი მაშინათვე ამ სკოლის ბადეში გაებმებოდა, დაიწყებდა დროს ტარებას, ფუქსავატ ცხოვრებას და თუ ლექსებს დასწერდა, ისიც ქოუთ იქნებოდა არშიყული და ლოთური მშვენება.

ნ. ბარათაშვილს აქვს უპირველესათ ის ღირსება, რომ მან ასეთ მუქთა-ხორა სკოლას გზა აუქცია, წინათ ყოფილ მელექსეთა კვალს გვერდს აუარა. საყურადღებოა იმის გაგება, თუ პოეტში ეს გაბედულება ვინ დანერგა, ვინ მისცა ამის შეგნება და მიმართულება.

ეს გარემოება დიდათ საინტერესო არის ჩვენთვის და საყურადღებო. როცა ეს გარემოებაც გვეცოდინება, მაშინ უფრო დასაფასებელი იქმნება პოეტის პოეზიის ღირსება.

ნ. ბარათაშვილზედ ერთობ დიდი გავლენა ჰქონდა სოლომონ დოდაშვილს და პოლონელ იმ პროფესორებს, რომელნიც პოლონეთის ამბოხების გამო საქართველოში იქმნენ გადმოსახლებულნი და რომელნიც კარგა ხანს თბილისში სცხოვრობდენ. აქ მათ შეადგინეს სხვა და სხვა წრეები, რომელთ უმთავრეს მეთაურ მოღვაწედ სოლ. დოდაშვილიც ითვლებოდა. ეს პირი და პოლონელი პროფესორები ერთად მოქმედებდენ ქართველთა შვილების გასაღვიძებლათ და მამულიშვილურის მიმართულების დასაარსებლად. 1830 წ. თბილიში დაარსებულ იქმნა ერთი წრე, რომელს წრეში მოქმედებდენ პოლონელი პროფესორები და სოლ. დოდაშვილიც. ამ წრის წევრებათ ითვლებოდნენ იმ დროის თბილისის სასწავლებლის ქართველი მოწაფენი, რომლებზედაც ერთობ დიდი გავლენა ჰქონდათ ხსენებულ პირთ. ცნობილი არის, რომ ნ. ბარათაშვილიც ამ საამხანაგო წრეში ერთგულ ამხანაგად ითვლებოდა.

**ზ. ჭიჭინაძე**

*
* *

რად ჰყვედრი კაცსა, ბანოვანო, პირუმტკიცობას?!
თუ ემდური შენ ტრფიალის ცვალებადს გრძნობას:
რომ არ გემსჭვალვის საუკუნო ტრფიალებითა,
ჰგავს არ პასუხს სცემ შენ მას სულით მშვენიერითა,
სილამაზეა ნიჭი მხოლოდ ხორციელების,
და ვით ყვავილი თავისს დროზე მსწრაფლად დაჭკნების;
აგრეთვე გულიც, მხოლოდ მისდა შენამსჭვალები,
ცვალებადია, წარმავალი და უმტკიცები!
მშვენიერება ნათელია, ზეცით მოსული,
რომლით ნათლდება ყოველი გრძნობა, გული და სული,
და კაცსა შორის, ვით კერძოსა ღვთაებისა,
რად გრწამს არ იყოს საუკუნო მადლი ტრფობისა?
თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარეს,
მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს,
მხოლოდ კავშირი ესრეთთ სულთა შობს სიყვარულსა,
ზეგარდმო მადლით დაუხსნელად დამტკიცებულსა!
მხოლოდ მათ შორის არის გრძნობა, ესე სანუკველი,
რომ მის უტკბილეს არც თუ არის სასუფეველი!
მას ცისა სხივით ასხივოსნებს მშვენიერება,
და უკვდავებით აგვირგვინებს ჭეშმარიტება!

**1842 წ.** **ნ. ბარათაშვილი.**

# ჩრდილოეთში

(ნ. ბარათაშვილის ხსოვნას)

მარტო ვარ!.. სადღაც, ჩრდილოეთში, კაეშნიანი,
თანა მდევს ლანდი სიკვდილისა, მარად ზვიანი.
    ცივა... ბორიო მოუსვენრობს ნისლ-ჯანყიანი,
    და თავს დამყ ვის სვავ-ყორანი ბრჭყალ-ავყიანი.
.. და სული ჩემი მიილტვის შორს ( ეცხლის ფრთიანი,
იქ, სად სამხრეთი ეგულება ნათელ-მზიანი;
    სამშობლო ტურფა, საყვარელი, ალერსიანი,
    კავკასიონი! მთა-ბუმბერაზ ლაჟვარდ-ციანი:
სად დედა ქართ ლის სტირის წარსულს თვალცრემლიანი
და ძე ივე ის სჭედს მომავალს, გზა-ეკ იანი.
    მარტო ვარ! ობლად .. უცხოეთში' გულ-სევდიანი.
    და არ მშორდება: ფიქრი მწარე, შავ-პეჭიანი!..

ს. ერთაწმინდელი

## წვრილი ამბები

**ნ. ბარათაშვილის** დაბადების ასი წლის თავი სრულდება გიორგობისთვის 22.

**ბათომის დრ წრე** ნ. ბარათაშვილის დაბადების 100 წ. შესრულების გამო გიორგობისთვის 22 საღამოს მართავს ლექციითურ.

**ქართ. ლიტ.-კაზმ. საზ-ის** გამგეობის თაოსნობით ნ. ბარათაშვილის სამარეს ყვავილებით შეამკობენ, პანაშვიდს გადიხდიან, საღამოთი საგანგებო კრება გაიმართება

**ავტოგრაფი** ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“ საგანგებოდ გამოიცემება კნ. ერისთავის მიერ.

**სრული თხზულებანი** მისივე საუცხოო გამოცემა, გამოვა მომავალ თებერვალს.

**ხარკოვის სტუდენტობა** ამ თ ის 26 ნ. ბარათაშვილის ხსოვნის საღამოს მართავს.

**ჩვენი მთრიბი მასალა** შემდეგი ნომრისთვის გადაიდო.

**საქართველოს** სხვა და სხვა კუთხეში საღამოები იმართება ნ. ბარათაშვილის ხსოვნის აღსანიშნავად.





კონდიტერის პროგრ. ვამზადებ **სპრიპკაზე**
**ილი ო ქურხული** მი-სა.
მართი წერ ლით: Орхевскій пер. д. 75

**ახალი კლუბი** 1 კვირის პროგ 20 27გიორგობ.

**კვირა** — რუსული წარმოდგენა. ბილეთ 50-30 კ.
**ორშაბათი** — ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-50 კ.
**სამშაბათი** – სიმფონიური კონცერტი.
**ოთხშაბ.** — სინემატოგრაფი.
**ხუთშაბ.** — ქართ. წარმ. ბილეთები 50-30 კა
**პარასკ.** — ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-30 კ-დ
**შაბ.** — სიმფონიური ორკესტრი კონცერტი მ ა. ვოლფი-იზრაელის ხელმძღვან.
**კვირა** — რუსულ წარმო. ბილეთ. 5-30 კ.

**დასაწყისი:** კონცერტებისა საღამ. 9 საათ. წარმოდგენისა და სინემატოგრ. საღ. 8½
**შესასვლელი** ფასი მანდილოსნები 50-კ, მამაკაცნი—1-მან.


რედ.-გამ. **ანნა იმედაშვილისა** Дозволено Военной Цнзурой **სტამბა „ხოპ..**